ყველა მათრობელა აკრძალულია.

აბუ ბურდას გადმოცემით, მისი მამისგან, აბუ მუსა ალ-აშარისგან (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით): მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იგი გაგზავნა იემენში, და მან ჰკითხა მას იქ დამზადებულ სასმელებზე, მან (მოციქულმა ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: «და რომლებია ისინი?» მან უპასუხა: «ბით‘ და მიზრ». აბუ ბურდას ჰკითხეს: «რა არის ბით‘?» მან თქვა: «ეს არის თაფლის ღვინო». ხოლო მიზრ არის ქერის ღვინო. მაშინ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ყველა დამათრობელი აკრძალულია». ჰადისს გადმოსცემს ალ-ბუხარი ამ ჰადისს ასევე გადმოსცემს მუსლიმი, და მის სიტყვებში ნათქვამია: ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მე და მუ‘აზი გაგვგზავნა იემენში. მე ვუთხარი: ო, ალლაჰის მოციქულო! ჩვენს მიწაზე მზადდება სასმელი, რომელსაც მიზრ ჰქვია და კეთდება ქერისგან, და სასმელი, რომელსაც ბით‘ ჰქვია და კეთდება თაფლისგან. მან თქვა: «ყველა მათრობელა აკრძალულია». ხოლო მუსლიმის სხვა ვერსიაშია: მან თქვა: «ყველაფერი, რაც ათრობს და განარიდებს ლოცვისგან, აკრძალულია» ხოლო მის სხვა გადმოცემაშია: «ალლაჰის მოციქულს მიენიჭა მოკლე, მაგრამ ყოვლისმომცველი სიტყვები. და მან თქვა: «ვკრძალავ ყოველ მათრობელას, რომელიც ათრობს და ლოცვიდან განარიდებს».

[სანდო (საჰიჰ)] [رواه البخاري ومسلم]

აბუ მუსა ალ-აშარი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იგი გაგზავნა იემენში, და მან ჰკითხა მას იქ დამზადებულ სასმელებზე: ნუთუ ისინი აკრძალულია? მაშინ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გამოკითხა მათ შესახებ. მაშინ აბუ მუსამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: ეს არის ბით‘ — თაფლის ღვინო, და მიზრ — ქერის ღვინო. მაშინ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომელსაც მინიჭებული ჰქონდა მოკლე, მაგრამ ყოვლისმომცველი სიტყვები, თქვა: «ყველა მათრობელა აკრძალულია».

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/66536